



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 10 „21“ 11 20 196

**დადგენილება № 60**

იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტის თამარ თეთრაძის დახმარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის N7 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ 41-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტს თამარ თეთრაძეს გაეწიოს შუამდგომლობა წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე, რათა მისი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საფასური გადახდილ იქნეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განსახილველად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.
5. საფუძველი: თ. თეთრაძის 2019 წლის 19 ნოემბრის განცხადება.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.



მაკა ბერიძე